საქართველოს მთავრობის

დადგენილება

№603 2016 წლის 29 დეკემბერი ქ. თბილისი

„2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2015, 470020000.10.003.019047) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“:

1. №6 დანართის (ინფექციური დაავადებების მართვა) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 9,873.0 ათასი ლარით.“.

2. №18 დანართის (სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 31,141.4 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	სასწრაფო სამედიცინო დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება, მ.შ.:	7,498.0
1.1	სასწრაფო სამედიცინო დახმარება (მ.შ., ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სასწრაფო სამედიცინო დახმარება)	724.6
1.2	სამედიცინო ტრანსპორტირება	6,769.2
1.2.1	რეფერალური დახმარება	6,325.0
1.2.2	საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს თანამდებობის პირთა და საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ საზღვარგარეთის ქვეყნების ხელმძღვანელთა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება	444.2
1.3	„პროგრამა „მომავლის ბანაკის“ განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის შესაბამისი წლის განკარგულებით განსაზღვრული ღონისძიებების უზრუნველყოფა	4.2

2	სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარება	23,643.4
	სულ:	31,141.4.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 29 დეკემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**